585
1966/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (301)

1966 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 2 (301) თებერვალი 1966 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

განყოფილება პირველი

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ზ. რომელაშვილის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
16. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ ვანის, ლაგოდეხის, მცხეთისა და ხობის რაიონებში.
17. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან გათავისუფლებისას შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ.
18. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბავშვებთან და მოზარდებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.
19. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ.

განყოფილება მეორე

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ რ. ი. დოღონაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „ქუთაისის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. [illegible] საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. გ. ზახაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ს. ხონელის (გოგოლაშვილის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ხოჯევანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. გ. ქურდიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ზედგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. მონცელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ამხ. დ. ზ. რომელაშვილის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. დავით ზაქარიას ძე **რომელაშვილი** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 17 თებერვალი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვალერიან ივლიანეს ძე **ვადაჭკორია** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 17 თებერვალი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 157-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას მოჰყვა ადამიანის უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი, აგრეთვე ვენახის, ციტრუსოვანთა, დაფნის, ხილ-კენკროვან და სხვა ნარგავთა დიდი ოდენობით განადგურება ან დაზიანება, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან რვა წლამდე“.

2. 167-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 167. **კომერციული შუამავლობა“.**

კომერციული შუამავლობა, ესე იგი კერძო პირის მიერ მოქალაქეთა-თვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სამრეწველო საქონლის, პროდუქტების ან სხვა საგნების შეძენა, აგრეთვე მოქალაქეთა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კუთვნილი საქონლის, პროდუქტების ან სხვა საგნების რეალიზაციის მოვალეობის აღება, რომელიც ჩადენილია ხელობის სახით ან რომელსაც მნიშვნელოვანი გამდიდრება მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით“.

3. 175-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იგივე ქმედობა, ჩადენილი თევზის ჭერის სარეწი იარაღის, ფეთქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, მთელი მოპოვებულის და საჭერი იარაღის კონფისკაციით“.

4. 180-ე მუხლის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე მიწის ნაკვეთის და მასში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით და ამ ნაკვეთზე აგებულ ნაგებობათა კონფისკაციით ან აღებით“.

5. 203-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 203. **პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევა**

პირის გაქცევა პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

გაქცევა, თუ იგი განმეორებითაა ჩადენილი ან ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით, ან თუ მას ერთვის ძალადობა მცველის მიმართ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთი წლიდან რვა წლამდე“.

6. 236-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 236. **არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში**

არასრულწლოვანის წაქეზება რაიმე დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამ მოქმედებისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, აგრეთვე არასრულწლოვანთა დაყოლიება პროსტიტუციაზე, მათხოვრობაზე, ლოთობაზე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გადასახლებით იმავე ვადით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 243-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 243. **ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცება**

ავტომობილის, მოტოციკლის ან სხვა სახის ავტომოტოტრანსპორტის გატაცება დროებით გამოყენების მიზნით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“.

8. 251-ე მუხლს სიტყვების: „თუ მას მოჰყვა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ან წინასწარ შეცნობით შეიძლებოდა მოჰყოლოდა“.

9. 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილს სიტყვების: „ჩვენების მიცემის იძულებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (195 მუხლის მეორე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (203 მუხლის მეორე ნაწილი)“.

10. 44-ე მუხლის მე-2 პუნქტს სიტყვების: „სპეკულაციისათვის (მუხლი 165)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (203 მუხლის მეორე ნაწილი)“.

11. 54-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების: „ჩვენების მიცემის იძულებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (195 მუხლის მეორე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (203 მუხლის მეორე ნაწილი)“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1966 წლის 18 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ ვანის, ლაგოდეხის, მცხეთისა და ხობის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ვანის, ლაგოდეხის, მცხეთისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული კოლმეურნეობებში სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად შემოწმებული რაიონების კოლმეურნეობებში უხეშად ირღვევა სოციალისტური კანონიერებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპები.

მცხეთის რაიონის რიგი კოლმეურნეობის საერთო კრებები ტარდება კვორუმის გარეშე. სოფელ ძალისის კოლმეურნეობის საერთო კრებას, რომელმაც განიხილა მოქალაქეების გ. ჟიჟიაშვილისა და შ. პაპავაძის კოლმეურნეობის წევრებად მიღების საკითხი, ესწრებოდა ამ კოლმეურნეობის წევრთა საერთო რიცხვის მხოლოდ 15,5 პროცენტი.

ამავე რაიონის სოფელ მუხრანის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას, რომელმაც კოლმეურნეობის წევრობიდან გარიცხა ს. ბუდინაშვილი, ესწრებოდა მხოლოდ 47,8 პროცენტი; ამავე კოლმეურნეობის საერთო კრებას, რომელზეც იხილებოდა ბაღ-ვენახების დამუშავების მდგომარეობა, კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიების დანიშვნა და დ. დალაქიშვილის კოლმეურნეობის წევრად მიღება, 1.504 წევრიდან მხოლოდ 400 ესწრებოდა.

ხშირად კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებებზე გადასაწყვეტი საკითხები წყდება კოლმეურნეობათა გამგეობების სხდომებზე. ასე მაგალითად, მცხეთის რაიონის ქსოვრისის კოლმეურნეობის გამგეობამ თავისი დადგენილებით კოლმეურნეობიდან გარიცხა ტრაქტორისტ ი. დრიაევის ოჯახი იმ მოტივით, რომ მან თვითნებურად მიატოვა სამუშაო. ვანის რაიონის ტობანიერის, ბზვანისა და ზეინდრის კოლმეურნეობებმა გამგეობის სხდომებზე, საერთო კრების გვერდის ავლით, განიხილეს და დაამტკიცეს შრომადღეების გამომუშავების ნორმები 1965 წლისათვის და ზოგიერთი ცვლილებაც კი შეიტანეს შინაგანაწესში.

უფრო ხშირია შემთხვევები, როცა საერთო კრებისა და გამგეობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს ერთპიროვნულად წყვეტს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე. მაგალითად, ხობის რაიონის პირველი ხორგის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბ. შურღაიამ კოლმეურნე დ. ანთია სხვა რაიონში საცხოვრებლად გადასვლის გამო კოლმეურნეობის წევრობიდან ისე გაათავისუფლა, რომ ეს საკითხი საერთო კრების მსჯელობის საგნად არ გაუხდია. მისივე ერთპიროვნული განკარგულებით კოლმეურნეებს ვ. ჭაჭიას, რ. დოლბაიას, ი. ბერაიას და სხვებს გაუდიდდათ საკარმიდამო ნაკვეთები.

ადგილი აქვს სხვადასხვა დარღვევისათვის კოლმეურნეობის წევრთა უკანონოდ დაჯარიმების შემთხვევებს. მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის კოლმეურნეობაში 1965 წლის მანძილზე დაჯარიმებულ იქნა 134 კოლმეურნე ანუ კოლმეურნეობის წევრთა საერთო რიცხვის 8,8 პროცენტი. ლაგოდეხის რაიონის სოფ. ვარდისუბნის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ 1965 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით გ. ხარაიშვილი, ა. კირვალიძე და შ. კურტანიძე 50-50 მანეთით დააჯარიმა გამგეობის სხდომაზე უხეში მოქცევისათვის. ამავე რაიონის სოფ. აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობამ სამუშაოს გაცდენისათვის 10-10 მანეთითა და 5-5 შრომადღით დააჯარიმა

4 კოლმეურნე, ხოლო 28 კოლმეურნე კრებაზე გამოუცხადებლობისათვის — 5-5 შრომადღით.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა მოხუცებულობისა და 14-16 წლის ასაკის მოზარდებისათვის სავალდებულო მინიმუმად არასწორად დააწესეს 100 შრომადღე.

შემოწმებული რაიონების რიგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები სისტემატურად არღვევენ კოლმეურნეობის წევრთა ურთიერთდახმარების სალაროს დებულებას. მცხეთის რაიონის საგურამოს კოლმეურნეობის გამგეობამ ურთიერთდახმარების სალაროს ფონდიდან, სალაროს ხელმძღვანელობის გვერდის ავლით, კოლმეურნეებს მისცა 60 ცენტნერი მარცვლეული. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც.

შემოწმებული რაიონების ზოგი კოლმეურნეობის გამგეობა არღვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებას „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ და მასალებს ამ საქმეში დამნაშავე პირთა შესახებ, ნაცვლად სასოფლო საბჭოებისა, უგზავნის ამხანაგურ სასამართლოს (მცხეთის რაიონის საგურამოს კოლმეურნეობა).

ნაკლოვანებებია შემოწმებული კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების მუშაობაშიც. ისინი სისტემატურად არ ამოწმებენ კოლმეურნეობების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, წესდების დაცვას, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის მდგომარეობას.

ვანის რაიონის თითოეულ კოლმეურნეობაში წლის განმავლობაში რევიზია ჩატარებულია მხოლოდ ორჯერ, შემოწმებულია წლის პირველი ნახევრისა და მთელი წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები. ლაგოდეხის რაიონის ცოდნისკარის ძერჟინსკის და ყარსუბნის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობებში რევიზია ჩატარებულია მხოლოდ თითოჯერ, ხოლო სოფელ ულიანოვკის, ვარდისუბნის და ფონის კოლმეურნეობებში 1965 წლის მანძილზე რევიზია არც ერთხელ არ ჩატარებულა. იშვიათად ტარდება რევიზიები აგრეთვე ხობის რაიონის საჯიჯაოს, ნოჯიხევის, შუა ქვალონის, მცხეთის რაიონის ქსოვრისისა და საგურამოს კოლმეურნეობებში. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ დიდია დებიტორული დავალიანება და სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა.

შემოწმებული რაიონების კოლმეურნეობებში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, სოფლის მეურნეობის სამმართველოები, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები და რაიონის პროკურორები ნაკლებად სწავლობენ კოლმეურნეობებში სოციალისტური კანონიერებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობას და არ იღებენ სათანადო ზომებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ვანის, ლაგოდეხის, მცხეთისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეამოწმონ კოლმეურნეობების საქმიანობა და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ. ამასთან მიაღწიონ იმას, რომ შემდგომში ადგილი არ ჰქონდეს შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპებისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის შემთხვევებს. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებთან ერთად საჭირო ღონისძიებანი გაატარონ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკებისათვის იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით;

ბ) სოფლის მეურნეობისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიების საშუალებით გააძლიერონ კონტროლი და დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობათა გამგეობებს საკოლმეურნეო წარმოების დაწესებული ნორმების დაცვასა და კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებაში;

გ) სათანადო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა ურთიერთდახმარების სალაროებს მუშაობაში, ამასთან არ დაუშვან მათ უფლებებში კოლმეურნეობათა გამგეობების ჩარევა;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების მტკიცედ დაცვას, არ დაუშვან კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილების გარეშე საკარმიდამო ნაკვეთების გაცემა და ჩამორთმევა, კოლმეურნეობის წევრთა გარიცხვა ან გათავისუფლება სხვა რაიონში მუდმივ საცხოვრებლად წასვლასთან დაკავშირებით და სხვა.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა და რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებები და გამგეობის სხდომები რეგულარულად ტარდებოდეს, ფართოდ ჩააბან კოლმეურნეები წარმოების მართვაში, განავითარონ მათი შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხების გადაწყვეტისას.

მიიღონ ზომები, რათა კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიები ყოველკვარტალურად ატარებდნენ დოკუმენტალურ რევიზიებს და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით რევიზიის შედეგები შეჰქონდეთ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებების განსახილველად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჭირო კონტროლი გაუწიოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სწორად და განუხრელად გატარებას, პერიოდულად შეისწავლოს კოლმეურნეობათა საქმიანობა და დასახოს საჭირო ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა კოლმეურნეობათა მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვაზე. სისტემატურად გა-

ნაზოგადონ მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა კოლმეურნეობებში და საჭირო შემთხვევაში სათანადო წარდგინებით შეიტანენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად განიხილონ შინასაკოლმეურნეო დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობის საკითხები, მათ შესწავლაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობის ფართო აქტივი.

6. დაევალოს რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს პერიოდულად გააშუქონ შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისა და სოციალისტური კანონიერების გატარების საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან გათავისუფლებისას შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. ყ. იოსავას მოხსენება და პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მასალები, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება ეთმობა მუშა-მოსამსახურეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, შრომის კანონმდებლობის განმტკიცებას, სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად და დროულად განიხილავენ საქმეებს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ და აღასრულებენ გადაწყვეტილებებს.

მიუხედავად ამისა, სასამართლო ორგანოებს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვისას ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებები.

სახალხო სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ იცავენ შრომის საქმეთა განხილვისათვის კანონით დადგენილ ვადებს. ასე მაგალითად, 1965 წელს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მიერ განხილული საქმეებიდან, რაც სამუშაოზე აღდგენას შეეხებოდა, ვადის დარღვევით იქნა განხილული 398 საქმე ანუ საქმეთა საერთო რაოდენობის 29,7 პროცენტი.

ამ მხრივ ცუდი მაჩვენებელი აქვს ქ. თბილისის ლენინისა და ოქტომბრის, გარდაბნის, გორის, დმანისის, ტყიბულისა და წულუკიძის რაიონების სახალხო სასამართლოებს.

სახალხო სასამართლოები სამუშაოზე აღდგენის საქმეების გადაწყვეტის დროს ხშირად უშვებენ შეცდომებს და გამოაქვთ კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. ასე მაგალითად, 1965 წელს გასაჩივრებული 463 საქმიდან გადაწყვეტილება გაუქმებულ და შეცვლილ იქნა 89 საქმეზე.

ბევრი დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი მთელი სერიოზულობით არ ეკიდება თანამშრომლის სამუშაოდან გათავისუფლების საქმეს. ამის შედეგია, რომ რესპუბლიკაში გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. მაგალითად, 1965 წელს სახალხო სასამართლოების მიერ სამუშაოზე აღდგენის შესახებ განხილული 1195 საქმიდან სარჩელი დაკმაყოფილდა და სამუშაოზე აღდგენილ იქნა 856 კაცი ანუ 77,6 პროცენტი. მიუხედავად კანონის მითითებისა, ხშირ შემთხვევაში სამუშაოდან გათავისუფლების საკითხს წარმოებადაწესებულებების ხელმძღვანელები არ უთანხმებენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს. მაგალითად ქ. ქუთაისის ავტოსატრანსპორტო № 3 კანტორის ადმინისტრაციამ ადგილკომთან წინასწარი შეთანხმების გარეშე სამუშაოდან გაათავისუფლა მძღოლები ა. შარაბიძე, ნ. საველიევი, მექანიკოსები ო. ბზიკაძე და ე. ცირეკიძე, ხოლო ლაგოდეხის ტურისტული ბაზის დირექტორმა სამუშაოდან გაათავისუფლა ფეხმძიმე ქალი, რომელიც ამავე დროს იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე შვილის ავადმყოფობის გამო.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული პირები აღდგენილ იქნენ სამუშაოზე.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ქ. ფოთის, გურჯაანის, ქობულეთის, ამბროლაურის, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ამასთან არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც პროფესიული კავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები არ იჩენენ სათანადო პრინციპულობას, ეთანხმებიან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების საკითხში, მაშინ როცა სამუშაოდან მათ გათავისუფლებას სახალხო სასამართლოები მიიჩნევენ კანონსაწინააღმდეგოდ.

ასე მაგალითად, გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ სამუშაოზე აღადგინა 7 კაცი, რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ ადმინისტრაციის მიერ ადგილკომის თანხმობით.

ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი დაუშვებლად აჭიანურებს უკანონოდ გათავისუფლებული მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

მაგალითად, ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება „სოიუზპეჩატის“ ამბროლაურის სააგენტოს ბუღალტრის ე. გოგიბერაშვილის სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა 1965 წლის 16 ოქტომბერს, დღემდე არ არის სისრულეში მოყვანილი.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურატურის ორგანოები სათანადო ზედამხედველობას არ უწევენ, თუ რამდენად სწორად ახორციელებენ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები შრომის კანონმდებლობას.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები იშვიათად იხილავენ აღმასკომის სხდომებსა და საბჭოების სესიებზე, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხს, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ხელისშემწყობი მიზეზების გამოვლინებასა და მათ დროულად აღმოფხვრას.

სახალხო სასამართლოები პერიოდულად არ აწვდიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ინფორმაციას სამუშაოდან გათავისუფლების საქმეში არსებული დარღვევების შესახებ, ხოლო რაიონისა და ქალაქის პროკურორებს იშვიათად შეაქვთ წარდგინებები ამ საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს (ამხ. ვ. ი. მაისურაძე) დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) უზრუნველყოს სახალხო სასამართლოებში შრომის საქმეთა კანონით დადგენილ ვადაში განხილვა;

ბ) მიიღოს ქმედითი ზომები ყველა იმ მუშა-მოსამსახურის სამუშაოზე აღდგენისათვის, რომელთა მიმართაც არსებობს სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები; მკაცრი პასუხი მოსთხოვოს იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც სისრულეში არ მოჰყავთ სასამართლოს გადაწყვეტილებები;

გ) პერიოდულად შეისწავლოს და განაზოგადოს სახალხო სასამართლოებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვის პრაქტიკა და მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მდგომარეობა.

2. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი):

ა) გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა სახალხო სასამართლოებში სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვისა და ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების დროულად აღსრულებისადმი;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობა, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერება და შიიღოს სათანადო ზომები თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ შრომის კანონმდებლობას;

გ) მეტი ყურადღება მიაქციოს საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის საკითხებზე ლექციების, საუბრებისა და კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარებას.

3. პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ გააძლიეროს პროფესიული კავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების პასუხისმგებლობა, მიაღწიოს იმას, რომ ისინი ქმედით კონტროლს უწევდნენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის განუხრელად შესრულებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს მტკიცედ დაიცვან შრომის კანონმდებლობა, აღმოფხვრან მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის დარღვევის, განსაკუთრებით კი მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტები და უზრუნველყონ ამ საკითხზე სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების დროული შესრულება.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეისწავლონ და მოისმინონ აღმასკომის სხდომებზე საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 ბავშვებთან და მოზარდებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 10 ივლისის დადგენილების შესაბამისად მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოხსენება ბავშვებთან და მოზარდებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) დეპუტატების, განათლების, კომკავშირული ორგანოების, კვარტალების, ქუჩებისა და სახლების კომიტეტების ფართო მონაწილეობით შეისწავლონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ახალგაზრდობას შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად სახლმმართველობებსა და მიკროორაიონებში ფართოდ გაშალონ ფიზკულტურული მუშაობა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა ახალგაზრდობის უშუალო მონაწილეობით;

გ) უმოკლეს ვადაში გაათავისუფლონ ბავშვთა აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა შენობა, რომლებიც ამჟამად არადანიშნულებით არის გამოყენებული;

დ) მიიღონ ზომები სახლმმართველობებთან და მიკროორაიონებში არსებული ბავშვთა კუთხეების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების მუშაობის გასაუმჯობესებლად და მათი მატერიალური ბაზის გასამტკიცებლად. პრაქტიკაში შემოიღონ კითხვა-პასუხის საღამოების, საუბრების, ახალგაზრდული საღამოების ჩატარება;

ე) უზრუნველყონ ბინისა და იჯარის ქირიდან კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის განკუთვნილი თანხების სწორად გამოყოფა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აამაღლოს სკოლების როლი ბავშვებთან და მოზარდებთან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში, ამ მუშაობაში ჩააბას პედაგოგები, მშობელთა კომიტეტები და განათლების ადგილობრივი ორგანოები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის, განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებს და საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირს მითითება მისცენ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს, რომ ბავშვებთან და მოზარდებთან კულტურულ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად დღის საათებში უფასოდ დაუთმონ კლუბები, ლექტორიუმები, სპორტული დარბაზები და სხვ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უზრუნველყოს პედაგოგიურ სასწავლებელთა სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე სახლმმართველობებთან არსებულ ბავშვთა კლუბებსა და კუთხეებში ახალგაზრდობას შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის.

5. საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირმა:

ა) პერიოდულად ჩაატაროს შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეში სახლმმართველობების, კვარტალების, ქუჩებისა და ეზოების ბავშვთა გუნდებს შორის;

ბ) უფასოდ დაუთმოს სპორტული ნაგებობანი ბავშვთა და მოზარდთა გუნდებს სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დიდი საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისას სავალდებულო წესით გაითვალისწინოს მათში სპეციალური სათავსები ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებსა და მოზარდებს შორის კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-ვამაჯანსაღებელი მუშაობის ჩასატარებლად.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს:

ა) სახლმმართველობებთან პედაგოგ-ორგანიზატორისა, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო განყოფილებებთან ინსტრუქტორ-ორგანიზატორის თანამდებობების შემოღებისა და სახლმმართველობებისა და საბინაო განყოფილებების ხარჯთაღრიცხვებში კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის საჭირო ფულადი სახსრების გათვალისწინების საკითხი;

ბ) მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო განყოფილებებისათვის უნაღდო ანგარიშსწორებით ბავშვთა სათავსების მოსაწყობად აუცილებელი ინვენტარის შეძენის ნებართვის მიცემის საკითხი;

გ) ყველა პარკში, სტადიონზე, მუზეუმში, სურათების გალერეაში ბავშვებისა და მოზარდების უფასოდ შესვლისა და მოსწავლეთათვის განკუთვნილ სანახაობრივ დაწესებულებებში ბილეთების ფასის დაკლების საკითხი;

დ) უახლოეს წლებში ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი კინოფილმების გამოშვების გადიდების საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულების მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს დამატებანი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ გამოიცეს ქართულ და რუსულ ენებზე თვეში ერთჯერ 3.500 ტირაჟით.

მასალები მასში გამოქვეყნდეს შემდეგნაირად:

პირველ განყოფილებაში — საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ან საერთო მნიშვნელობის ბრძანებულებები და დადგენილებები.

მეორე განყოფილებაში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა, მინიჭების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელთა და ჯილდოებისა და სხვა საკითხების შესახებ.

მესამე განყოფილებაში — საინფორმაციო მასალები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი მუდმივი კომისიებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და სხვა საინფორმაციო ცნობები".

2. „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 მარტის ბრძანებულების 1-ლი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „არა უგვიანეს შვიდი დღისა მათი მიღების შემდეგ".

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 აპრილის დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების" ქართულ ენაზე გამოცემისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების საქმის გაუმჯობესების შესახებ" და ამ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 25 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

ბანყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფნარის კოლმეურნე ბეჟან ვლადიმერის ძე **მეფარიშვილი** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მილიციელი სათარ ალი ოღლი **ნასიბოვი** მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 პროფესორ რ. ი. დოლონაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროორექტორს პროფესორ რომან ისიდორეს ძე **დოლონაძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. თენგიზ ევგენის ძე **აბულაძეს** — კინორეჟისორს.
2. თამარ ვასილის ასულ **ბელოუსოვას** — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გიორგი ვლადიმერის ძე **გეგეჭკორს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

4. ივანე რაფიელის ძე **გოკიელს** — კომპოზიტორს.

5. არჩილ მიხეილის ძე **გომიაშვილს** — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

6. ლევან დიმიტრის ძე **ესაკიას** — კინორეჟისორს.

7. თამარ არჩილის ასულ **თარხნიშვილს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

8. მარინე სტანისლავის ასულ **თბილელს** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

9. შოთა ილიას ძე **მანაგაძეს** — კინორეჟისორს.

10. ალექსანდრე (სანდრო) პეტრეს ძე **მირიანაშვილს** — კომპოზიტორს.

11. ვახტანგ დავითის ძე **სალარიძეს** — ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

12. იაკობ ვლადიმერის ძე **ტრიპოლსკის** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

13. რევაზ დავითის ძე **ჩხეიძეს** — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა:

1. ივანე ალექსის ძე **ვეფხვაძეს** — ფერმწერს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. გივი ვასილის ძე **აზმაიფარაშვილს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიჟორს.

2. ვასილ იაკობის ძე **ამაშუკელს** — კინოოპერატორს.

3. კონსტანტინე გიორგის ძე **ბადრიძეს** — შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

4. გურამ სერგის ძე **ბაქრაძეს** — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მხატვრულ ხელმძღვანელს.

5. გივი ესტატეს ძე **ბუხრიკიძეს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ ხორმეისტერს.

6. კარლო იოსების ძე **გოგოძეს** — კინოდრამატურგს.

7. ანა ანტონის ასულ **გოდერძიშვილს** — თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მხატვარს.

8. ოთარ მიხეილის ძე **გორდელს** — კომპოზიტორს.

9. თამარ ვლადიმერის ასულ **დაფქვიაშვილს** — ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

10. ოთარ ქაიხოსროს ძე **დეკანოსიძეს** — კინოოპერატორს.

11. მამია იოსების ძე **დუდუჩავას** — ხელოვნებათმცოდნეს.

12. სიმონ გიორგის ძე **ვაჩნაძეს** — კ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

13. ლილი მიხეილის ასულ **იაშვილს** — კომპოზიტორს.

14. იური სიმონის ძე **კაკულიას** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს.

15. გიორგი მიხეილის ძე **კალატოზიშვილს** — კინოოპერატორს.

16. ვლადიმერ დავითის ძე **კარსანიძეს** — კინოდრამატურგს.

17. შალვა ყარამანის ძე **კვასხვაძეს** — ხელოვნებათმცოდნეს.

18. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **კვერნაძეს** — კომპოზიტორს.

19. ალექსანდრე ექვთიმეს ძე **კიკნაძეს** — შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგეს.

20. ბორის მიხეილის ძე **კრეპსს** — კინოოპერატორს.

21. დუდარ ნიკოლოზის ძე **მარგიევს** — კინოოპერატორს.

22. გაიანე სერგის ასულ **მაჭუტაძეს** — ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

23. სულხან ივანეს ძე **ნასიძეს** — კომპოზიტორს.

24. კონსტანტინე გრიგოლის ძე **პევზნერს** — საესტრადო ორკესტრის „რეროს“ მხატვრულ ხელმძღვანელს.

25. ლევ ალექსანდრეს ძე **სუხოვს** — კინოოპერატორს.

26. გიორგი ალექსანდრეს ძე **უსეინაშვილს** — კინოოპერატორს.

27. გაიოზ რობერტის ძე **ქართველიშვილს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მთავარ რეჟისორს.

28. ლანა ლევანის ასულ **ღოღობერიძეს** — კინორეჟისორს.

29. ტატიანა სერგის ასულ **შევიაკოვას** — მუზეუმთა მცოდნეს — მხატვარს

30. ელდარ ნიკოლოზის ძე **შენგელაიას** — კინორეჟისორს.

31. ევგენია ვასილის ასულ **ჩერნიავსკაიას** — ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

32. გიორგი ალექსანდრეს ძე **ჭელიძეს** — კინოოპერატორს.

33. ალექსი ბესარიონის ძე **ჭიჭინაძეს** — ბალეტმეისტერს.

34. გულნარა დავითის ასულ **ჯაფარიძეს** — საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. ალბერტ ვარლამის ძე **არევაძეს** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობს,

2. ილია ნესტორის ძე **არობელიძეს** — მახარაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

3. ანტონ გერასიმეს ძე **ბარათაშვილს** — ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

4. ქეთევან გიორგის ასულ **ბერძენიშვილს** — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტს.

5. ნელი გრიგოლის ასულ **გაჩეჩილაძეს** — ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

6. ამირან თევდორეს ძე **გაგუას** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

7. პავლე ისაკის ძე **გოგოლაძეს** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

8. ეკატერინე ვარლამის ასულ **ვერულაშვილს** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

9. იური აბრამის ძე **ზარეცკის** — ბალეტის მსახიობს, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგს.

10. ილია ვასილის ძე **ზაქაიძეს** — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტს.

11. ნოე სარქისის ძე **თუმანიანს** — ს. შაუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

12. ქართლოს დავითის ძე **კასრაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს.

13. მამია ნოეს ძე **კახიანს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრის მსახიობს.

14. ზინაიდა ვასილის ასულ **კვერენჩხილაძეს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

15. თენგიზ გიორგის ძე **მაისურაძეს** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

16. ვლადიმერ ივანეს ძე **მარკოზაშვილს** — თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

17. ალექსანდრე შალვას ძე **ნიჟარაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტ-პიანისტს.

18. მარიამ ლუკას ასულ **ნოზაძეს** — გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

19. ფელიქს ოსკარის ძე **სტეპუნს** — მოზარდ მაყურებელთა თბილისის სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.

20. ნინო აკაკის ასულ **ქაჯაიას** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

21. ლეილა ბიძინას ასულ **ღამბაშიძეს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ნინო ვიქტორის ასულ **ჩხაიძეს** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

23. დავით თევდორეს ძე **ცინცაძეს** — საქართველოს სახელმწიფო კინოფილის მსახიობს.

24. დარეჯან ვლადიმერის ასულ **ძნელაძეს** — მოზარდ მაყურებელთა თბილისის სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს.

25. მეგი სიმონის ასულ **წულუკიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

26. თეიმურაზ გრიგოლის ძე **ხელაშვილს** — ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

27. ირინე ალექსანდრეს ასულ **ჯანდიერს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრისა:

1. ეკატერინე ილიას ასულ **ბაბლიძეს** — კერამიკოსს.
2. ირინე ივანეს ასულ **გიგოლაშვილს** — ფერმწერს.
3. ზელიმხან იოსების ძე **გოგოლაშვილს** — ფერმწერს.
4. პეტრე სტანისლავის ძე **დათებაშვილს** — ფერმწერს.
5. მერაბ გიორგის ძე **დურგლიშვილს** — ფერმწერს.
6. ნინო გიორგის ასულ **თამამშევას** — ფერმწერს.
7. რევაზ იოსების ძე **იაშვილს** — კერამიკოსს.
8. ეთერ სილოვანის ასულ **კაკაბაძეს** — მოქანდაკეს.
9. ირაკლი გიორგის ძე **კანდაშვილს** — კერამიკოსს.
10. კონსტანტინე გიორგის ძე **კვალიაშვილს** — მხატვარ-დეკორატორს.
11. გურამ ვლადიმერის ძე **კორძახიას** — მოქანდაკეს.
12. ნოდარ ვლადიმერის ძე **მალაზონიას** — მხატვარ-პლაკატისტს.
13. დინარა მიხეილის ასულ **ნოდიას** — გრაფიკოსს.
14. ვახტანგ სტეფანეს ძე **ონიანს** — მოქანდაკეს.
15. ნელი პეტრეს ასულ **ოქროპირიძეს** — მოქანდაკეს.
16. გიორგი დავითის ძე **როინიშვილს** — ფერმწერს.
17. თენგიზ მიხეილის ძე **სამსონაძეს** — ფერმწერს.
18. სულხან იოსების ძე **სულხანიშვილს** — კერამიკოსს.
19. გიორგი ვახტანგის ძე **ქართველიშვილს** — კერამიკოსს.
20. ბიძინა ალექსანდრეს ძე **ქვლივიძეს** — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მხატვარ-დეკორატორს.
21. ნიკოლოზ ნოეს ძე **ქუთათელაძეს** — მოქანდაკეს.
22. კარლო გიორგის ძე **შილაკაძეს** — მოქანდაკეს.
23. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ჩერნიშკოვს** — გრაფიკოსს.
24. ლევან იაკობის ძე **ცომაიას** — მოქანდაკეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ლეოპოლდ ევგენის ძე **ძაძამიძეს** — ფერმწერს.
26. მარიამ პეტრეს ასულ **წერეთელს** — დეკორატორს.
27. თეიმურაზ დავითის ძე **ჭყონიას** — მოქანდაკეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 გაზეთ „ჭუთაისის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში აქტიური სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მოღვაწეობისათვის, მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი **„ჭუთაისი"** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 ამხ. შ. ა. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო სანერგე მეურნეობების რესპუბლიკური ტრესტის დირექტორი ამხ. შალვა ანთიმოზის ძე **ასათიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 ამხ. ს. გ. ზახაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. სიმონ გიორგის ძე **ზახაროვი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 ამხ. შ. ს. ხონელის (გოგოლაშვილის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი ამხ. შალვა სიმონის ძე **ხონელი (გოგოლაშვილი)** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 ამხ. ს. ი. ოჯეგანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი ამხ. სიმონ იაკობის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოჯევანიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 7 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 ამხ. ე. ბ. ჟურდიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ამხ. ელიზბარ გრიგოლის ძე **ჟურდიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 9 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

30 ამხ. ბ. პ. ზედგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლეთან დაკავშირებით საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გიორგი პლატონის ძე **ზედგინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 ამხ. კ. ს. მონცელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენების სამმართველოს უფროსი ამხ. კონსტანტინე სამსონის ძე **მონცელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1966 წლის 28 თებერვალი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 303 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	20
ქ. რუსთავიდან	6
აბაშის რაიონიდან	20
ახალციხის „	9
ბოგდანოვკის „	18
ბოლნისის „	26
დმანისის „	11
დუშეთის „	12
ვანის „	22
ზესტაფონის „	9
ზუგდიდის „	10
თერჯოლის „	8
ლანჩხუთის „	7
მესტიის „	7
მცხეთის „	10
საგარეჯოს „	35
ჩოხატაურის „	6
ცხაკაიას „	1
წალკის „	11
წითელწყაროს „	30
სამხრეთ ოსეთის ა/ო	25